# საქართველო

ყოველდღიური გაზეთი | შაბათი, 2 მარიამობისთვე 1919 წ. № 163 | ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირს 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა— 2 მ. 50 კ. სისხა განცხადებები 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოეულ 60 მ. მისამართის გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:—თბილისი „საქართველო“.

ტელეფონი № 15—73.



ყურადღება!.. მოითხოვეთ საუკეთესო ხარისხის ყურადღება!..

დაწმენდილი არაყი, კონიაკი და კახური ღვინო

ძმ. ხესიაშვილებისა

(ღვინო იყიდება „ვედროებით“ და „ბოჭკობით“ ხელმისაწვდენ ფასებში) მისამართი ბაგზლის ქ., ტ. ტელეფ. 25—86 25—86—8

თბილისის სახელმწიფო თეატრი.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, უპარტიოთა კავშირი და რადიკალ-დემოკრატების პარტია

კვირას, მარიამობისთვის 3, იწვევენ

მოქალაქეთა კრებას,

რომელზედაც პროფესორი ივანე ჯავახიშვილი წაიკითხავს მოხსენებას:

„საქართველოს საზღვრები, ისტორიული და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“

დასაწყისი დილის 12 საათზე. შესასვლელი ფასი 3 მ.

ბილეთები იყიდება სახელმწიფო თეატრის კასაში. 4—უ—2

გამოვიდა და იყიდება

ალ. ასათიანის წიგნი

მიწის საკითხი საქართველოში.

1) მიწად-მფლობელობის ფორმები. 2) მიწად-მფლობელობა საზოგადო და კერძო საკუთრებითი. 3) სახელმწიფოს საგრარო პოლიტიკა. 4) მიწად-მფლობელობის მასალები. სახაზინო, საუფლისწულო და ხიზნების მიწა. 5) კერძო მიწად-მფლობელობა. 6) კერძო მიწად-მფლ. რაოდენობა და მიწის ფონდი. 7) მეურნეობის პირობები. 8) სოციალისტური პარტიების სააგრარო პოლიტიკა. 9) მეურნეობის დიფერენციაცია. 10. მიწის საკითხი ევროპის სახელმწიფოებში. 11) რევოლუციური სააგრარო პოლიტიკა. 12) ბოლოსიტყვაობა. 10—5—5

თბილისის

სამაზრო ერობის გამგეობა

(ტიხნ. განყ.) აცხადებს, რომ კვირას, 3 აგვისტოს, დილის 11 საათზე ერობის ბინაზე (რუსთაველის ქ. № 6) შესდგება კრება დღლისის და საბურთალოის (დ. გდლისი) სახოსნე და საბალე მიწების მორწყვის შესახებ; დაინტერესებულ პირთ ვთხოვთ უეჭველად მობრძანდნენ. 2—151—1

ვაჭარ-მრეწველთა დეპუტატების საბჭოთა პრეზიდიუმი ყველას საყურადღებოდ აცხადებს, რომ კვირას, მარიამობისთვის 3-ს, დილის 11 საათზე სახელოსნო კლუბის შენობაში (მიხეილ პრ.) შესდგება

ვაჭართა, ხელოსანთა და მრეწველთა საერთო კრება

სავაჭრო დაწესებულებების სამრეწველო გადასახადების საკითხის გამო. 2—2563—1


## კიდევ მიწის „რეფორმის“ შესახებ

ჩვენი ცხოვრება რომ ვერ ითვისებს და ვერ იწელებს ჩვენი სოციალისტური მთავრობის აგრარულ „კანონებს“, ეს ყველასთვის აშკარა არის. დიდი ამბით დაწყებული მიწად-მფლობელობის „რეფორმა“ ან ქაღალდზე რჩება დაწერილი და ცხოვრება კი თავის გზით მიდის, ან და დეკრეტებში აღნიშნული წესები მყარდება დიდის არევ-დარევისა და უწესოების საფასურში.

ჩვენს მთავრობას არც კი ეთაკილება ოფიციალურად გამოქვეყნება, რომ დეკრეტებში აღნიშნული წესები შესახებ ნორმის მიცემისა მესაკუთრეთათვის და სხ. არსად არ სრულდება და ყოველგან მემამულეებს იმდენს უტოვებენ, რამდენიც მათი კომისიის წევრებს მოეხასიათებათ.

თუ ამ დეკრეტებს კანონის მკრთალი ელფერი მაინც აქვთ შერჩენილი იმით, რომ ისინი გამოცემულნი არიან ისეთი ორგანოების მიერ, რომელნიც მაშინ საკანონმდებლო უფლებებით იყვნენ აღჭურვილნი, დეკრეტის ცხოვრებაში გატარების წესები ისეთია, რომ ამ კანონიერების ელემენტსაც სპობს და რეფორმა თვითნებობისა და ძალმომრეობის აქტად იქცევა.

დეკრეტის ცხოვრებაში გატარება ე. ი. ნორმის დაწესება, მისი რაოდენობის გამორკვევა, მიწების ამორჩევა და სხვა, მინდობილი აქვს ისეთს კომისიებს, რომელთაც არ შეიძლება რომ ამ რთული საქმისთვის საჭირო შეგნება და გამოცდილება ჰქონდესთ.

ამავე დროს ამ კომისიებს ისეთი ინსტრუქციები აქვს მიცემული სამინისტროსაგან, რომ შეუძლიანთ, მეპატრონეებს, თითქმის ყოველივე საშუალება გაუქარწყლონ თავის უფლებების დასაცავად. კომისიების დადგენილების გასასაჩივრებლად მხოლოდ ერთი კვირის ვადა აქვს მინიჭებული მეპატრონეს. თუ მეპატრონე წინასწარ არ არის გაცნობილი ამ დეკრეტებსა და ინსტრუქციებს, ან თუ მას სათანადო ცოდნა არ აქვს, ან რაიმე გარემოებამ ხელი შეუშალა და ერთი კვირის განმავლობაში ვერ მოახერხა საჩივრის შეტანა, მას ყოველგვარი საშვალება ეკარგება სამართალი იძიოს. ასე რომ „მიმღებ კომისიებს“ ყოველთვის აქვთ საშვალება მეპატრონეს ეს ვადა დაუკარგონ ოქმის დროზე ჩაუბარებლობით, თუ სხვა გზით.

რამდენი ნორმა უნდა მიეცეს მეპატრონეთ ერთი, ორი თუ მეტი,—ასეთი საკითხის განსასჯელად ხომ სრული თავისუფლება ენიჭება „მიმღებ კომისიებს“. გამორკვევა მეურნეობის „მთლიანობისა“ და სხვა მათს სრულს შეძლებას აძლევს მისცენ ნორმა თანახმად დეკრეტისა, ან არ მისცენ, თანახმად თავის სურვილისა. წვრილმანები აქ, რასაკვირველია, მოსაყვანი არ არის. უდავოა მხოლოდ რომ ეს „რეფორმა“ ისე ტარდება ცხოვრებაში, რომ დაინტერესებულ პირთ იმ მცირე უფლებაში დაცვის საშვალებაც კი არ აქვთ, რომელთაც მათ დეკრეტები ანიჭებს.

ასეთს პირობებში არ არის გასაკვირველი, რომ „მიმღები კომისიები“ საქართველოს ყველა მიწებს პირველ ხარისხის მიწებად სთვლიდნენ და ყველგან მხოლოდ 7 დესეტინის ნორმას იძლეოდნენ.

ჩვენს სოციალ-დემოკრატებს კი ასეთი რეფორმით თავი მოაქვთ და ვერ იწყნარებენ ჩვენ მიერ მის დაწუნებას.

ამ პარტიაში, რასაკვირველია, კი აქაიქ მოიპოება თითო-ოროლა გონიერი პიროვნება, რომელიც ამ „რეფორმებს“ მხოლოდ დაცინვის კილოთი თუ იხსენიებს, მაგრამ ასეთი მოვლენა იშვიათია მენშევიკურს რკალში.

უფრო მეტია მენშევიკთა პარტიაში ისეთები, რომელნიც საჭიროდ სთვლიან ამ რეფორმის საფუძვლიანად შესწორებას. სამწუხაროდ დემაგოგიის უხეში სტიქიონი მენშევიკების წრეში ჯერ კიდევ ძლიერია და არამც თუ წარსულ ცოდვების შესწორება, არამედ ახალს, უფრო უარესი შეცდომების თავიდანვე აცდენა ვერ მოუხერხებიათ.

სოფელში რეფორმა მოვახდინეთ, ეხლა ქალაქიც უნდა გავაბედნიეროთ, თორემ ეს სოფლელებში უკმაყოფილებას იწვევსო. ასეთი აზრები წინამორბედია ახალი „დეკრეტების“, რომელთა შემწეობით მენშევიკურმა მთავრობამ ქალაქშიც უნდა გამოიწვიოს ის ვაკხანალია, რომელიც მათ სოფელში მოახდინეს.

ქალაქში მიწების ჩამორთმევის დეკრეტს, რასაკვირველია, უნდა წინ უსწრობდეს ამ საკითხის ყოველმხრივი აწონ-დაწონვა და შესწავლა, გამორკვევა იმისა თუ როგორს შედეგებს გამოიწვევს ის, მაგრამ ასეთს რამეს ჩვენ ვერც ეხლა ვხედავთ. ალბად საკმარისად სცნობენ ჩვენი პოლიტიკის მესვეურები, რომ ერთი საათის განმავლობაში უდღეური დეკრეტი დასწერონ და მათთვის ჩვეული წესით ის კანონად გამოაცხადონ. ქალაქის მიწების ჩამორთმევის შემდეგ, ალბად სახლის მეპატრონეებიც უკმაყოფილონი დარჩებიან, უკეთუ მათაც არ ჩამოერთვა სახლები... ასეთია მენშევიკური ეპიდემიის ბუნება. სამწუხაროდ ქართველი ხალხი მას ჯერ კიდევ ჯეროვანად ვერ აფასებს.

## ფურცლები

### უპასუხისმგებლო „სოვდეპია“.

ჩვენი გაზეთის ერთ-ერთს ნომერში ჩვენ მოვიყვანეთ ერთი პატარა მოქალაქის დიდი ისტორია, რომელსაც უბედურება ეწვია სასამართლოში გამოეწვია ქართული „სოვდეპიის“ გავლენიანი პობოლა.

ჩვენ ავხსენით მაშინ ყველა ის მოტივები, რომელნიც ამოქმედებდნენ ამ სოვდეპიის მოღვაწეს პატარა მოხელის წინააღმდეგ:

აქ არ იყო არც რევოლუციის ინტერესი,

არც ამ რევოლუციის მონაპოვართა დაცვის საქმე.

ერთ სოც.-დემოკრატისთვის საჭირო გახდა ადგილი და შეიქმნა განგაში ამ მოხელის წინააღმდეგ.

რა არ დააბრალეს მას: მექრთამეობა, მუშების ინტერესების ექსპლოატაცია და, რომ არაფერმა არ გასჭრა რადგან

მოხელე საკვირველი თანდათანობით დაამტკიცა ყველა ბრალდებათა უსაბუთობა და ცილისმწამებელნი საჯაროთ გამოაქვეყნა,

მაშინ დაბრალდა მას კონტრ-რევოლუციონერობა.

ამ ბრალდებისაგან თავის დახსნა კი, ასე ადვილი აღარ არის.

როგორ გსურთ, დაამტკიცოთ, რომ თქვენ კონტრ-რევოლუციონერი არა ხართ:

რომელიმე საბჭო დაგიჭერს ფეხზედ ამ ნალს და ბევრიც რომ იბრძოლოთ შემდეგ, მას ველარ მოიხსნით:

მოხელემ მაინც ეცადა ამ ნალის მოხსნას და, სასამართლოში გამოიწვია ბრალმდებელი:

და მოხდა ჩვეულებრივი ამბავი, რომელიც ხდება ყოველ ნორმალურ და უფლებრივ მდგომარეობაში:

სასამართლომ ყველა ეს პირები სამარცხვინო ბოძზედ გააკრა,

როგორც ცილისმწამებელნი;

მაგრამ ამ ცილის მწამებელთა შორის მოჰყვა ერთი პირი—ი. ხარატიშვილი, წევრი მუშათა საბჭოს პრეზიდიუმისა და,

ჩვეულებრივი ამბავი, არაჩვეულებრივად გადიქცა:

საქართველოს სოვდეპია შეიძრა ერთის ერიამულში:

როგორ გაბედა ვიღაც ჭიათურის მოსამართლემ მუშათა საბჭოს და რევოლუციის მოღვაწის გასამართლება.

ვინ კითხულობს იმას, რომ მოსამართლე სჯიდა არსებულ კანონების მიხედვით და სინიდისის ქვეშ.

რა შუაშია სინიდისი,

რა შუაშია კანონი?

ხალხი, რომელიც სამი წლის განმავლობაში მიეჩვია სრულ უპასუხისმგებლობას თავიანთ მოქმედებაში და ერთად რეზონად თავისი სურვილი მიიჩნია, უეცრად შეკრთა, და რადგან

შენიშნა შესაძლებლობა თავიანთ უპასუხისმგებლო მოქმედებათათვის პასუხის მოთხოვნისა,

გადასწყვიტა, ერთხელ და სამუდამოთ დააკანონოს

საკუთარ პიროვნებათა ხელ შეუხებლობა და

მათი მოქმედების სრული უპასუხისმგებლობა.

გასაკვირი მათს განზრახვაში არაფერია:

დამფუძნებელი კრება მათია, ყველა ადგილობრივი, ცენტრალური მართველობანიც მათია და აქედან ხომ შორს არ არის, რომ

საქართველოც თავის საკუთრებათ მიიჩნიონ.

საკუთარ სახლში კი, რაც გსურს იმას მოიმოქმედებ

და აი, დამფუძნებელმა კრებამ, რომელიც უტყუარი სარკეა მენშევიკური ზრახვების, გუშინ უკვე გამოსცა ეს კანონი.

დამფუძნებელი კრების ფორმულა ამბობს:

1. რევოლუციონური ორგანიზაციების და მათ წევრთა გასამართლება იმ მოქმედებისათვის, რომელიც მიმართული იყო რევოლუციის და მის მონაპოვართა დასაცავად, დაუშვებელია;

2. ასეთი ხასიათის საქმეების წარმოება, თუ კი ისინი რესპუბლიკის ტერიტორიაზედ სადმე არის დაწყებული, დაუყონებლივ მოისპოს;

3. მოისპოს, აგრეთვე, ხარატიშვილის საქმის წარმოება, როგორც ასეთი ხასიათისა“.

რას ნიშნავს ეს ფორმულა? რას ნიშნავს რევოლუციის და მის მონაპოვართა დასაცავად მიმართული მოქმედება.

ჩვენ ვიცით, რომ ხარატიშვილის საქმეში არაფერ შუაშია არც რევოლუცია და არც მის მონაპოვართა დაცვის საქმე

აქ არის მხოლოდ:

„რევოლუციონერის“ ცილის წამება და,

ხარატიშვილს ეს ფორმულა მაინც ანთავისუფლებს ყოველივე პასუხისგებისაგან,

და აქედან გამომდინარეობს ამ კანონის შემდეგი პირდაპირი გაგება:

ყოველი რევოლუციის, ან უფრო სწორეთ რომ ვსთქვათ, „სოვდეპიის“ მოღვაწე თავისუფალია სასამართლოს წინაშე პასუხისგებისაგან.

თქვენ კარგათ იცით, რომ საქართველოში არ არის ისეთი სოც.-დემოკრატი, რომელიც წევრი არ იყოს:

ან მუშათა საბჭოსი,

ან სახალხო გვარდიის, ან

რომელიმე სხვა სარევოლუციო ორგანიზაციის.

მაშასადამე მთელი სოც.-დემოკრატიული პარტია სრულებით თავისუფალია სასამართლოსაგან და რადგან

სოც.-დემ. პარტიის საქართველოს მოქალაქეთა 9 | 10 მისდევს,

სასამართლოს წინაშე პასუხისმგებელია მხოლოდ მოქალაქეთა 1 | 10 დი.

რისთვის უნდა არსებობდეს ამიერიდან სასამართლო საქართველოში?

ან რისთვის უნდა იღებდენ ჯამაგირს მოსამართლენი?

ის არა სჯობია, რომ სოც.-დემოკრატიის პარტიამ პირდაპირ გამოაცხადოს, რომ საქართველო არის უპასუხისმგებლო „სოვ-დეპია“, რომელიც თვით არის:

კანონმდებელი ძალაც,

აღმასრულებელიც

და სამართალიც.

ლ. ხარბიელი.

## დამფუძნებელი კრება

(ს. დემ. შეკითხვის გაგრძელება)

### იუსტიციის მინისტრის პასუხი.

ზემოაღნიშნულის გამო, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციამ, მიიღო რა მხედველობაში, რომ რევოლუციის ხანაში მუშათა დეპუტატების საბჭოები თამაშობდენ უდიდეს საზოგადოებრივ როლს და წარმოადგენდენ ადგილობრივ საქმეების მართვა-გამგეობის ორგანოს, და რომ ამიტომ მუშათა დეპუტატების საბჭოების და მათი წარმომადგენლების მოქმედება წარსულში ვერ გახდება სასამართლოს პროცესის საგნათ, ეკითხება მთავრობას: 1, იცის თუ არა მთავრობამ, რომ ჭიათურის მომრიგებელმა მოსამართლემ ამა ივლისის 18-ს გამოიტანა განაჩენი, რომლითაც ჭიათურის დეპუტატების საბჭოს წევრს და წარმომადგენელს ისიდორე ხარატაშვილს გადაუწყვიტა, ამ საბჭოს დადგენილების ასრულებისათვის, კოტე წერეთლის საჩივრის გამო, ოთხი თვით საპყრობილეში დაპატიმრება და 2, თუ იცის, რა ზომები აქვს მიღებული, როგორც ხსენებულ საქმის სასამართლოში მოსასპობად, ისე იმის წინააღმდეგ, რომ ასეთი მოვლენა მომავალში არ განმეორდეს.

2 აპრილს 1919 წ. წერეთელმა უჩივლა ჭიათურის მუშათა საბჭოს პრეზიდიუმის წევრს ის. ხარატაშვილს თავის საჩივარს წერეთელმა დაუდვა საფუძვლად ერთი დოკუმენტი, რომელიც იყო გამოსული მუშათა საბჭოს კანცელარიიდან 1917 წ. 5 მაისის თარიღით, სადაც ნათქვამი იყო მუშა მიქატაძის 40 მანეთის შესახებ და მოითხოვა ხარატაშვილი მიცემულ ყოფილიყო სამართალში, როგორც ხარატიშვილი და როგორც მუშ. საბჭოს პრეზიდიუმის წევრი. ასეთი იყო საქმის დასაწყისი. დასასრული კი შემდეგში მდგომარეობს: მოსამართლემ განიხილა საქმე და დაადგინა: ხარატიშვილი დასჯილ იქნას, როგორც ხარატაშვილი და მასთან აღნიშნა, რომ მუშათა დეპ. საბჭოს ამ საქმესთან არავითარი კავშირი არა აქვსო.

ამ საქმეს ორი მხარე აქვს: ფორმალური და არსებითი პოლიტიკური. მე უპირველეს ყოვლისა უნდა შევხედო საკითხს ფორმალურად, როგორც იუსტიციის საქმეების საერთო ხელმძღვანელმა, ზედამხედველმა. თუ საქმეს ფორმალურათ შევხედავთ მე უნდა განვაცხადო, რომ მოსამართლეს არსებული კანონების მიხედვით არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია. დანაშაული თუ გნებავთ სულ სხვა მხრით არის: მოსამართლე თავის დადგენილების მოტივაციაში ამბობს, რომ მე მუშათა საბჭოს არ ვეხებიო. მუშათა საბჭო არალეგალური ორგანიზაციაა. კანონების მიხედვით ის უკანონოაა. არსებითად ამ საკითხს ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს. მართლა თუ დავემყარეთ არსებულ კანონებს, მაშინ მთელ ჩვენს სახელმწიფოებრივ მუშაობას თავი უნდა დავანებოთ. არ ვიცი მე არჯვენე სექტორი როგორ იგრძნობს თავს, ხოლო სოციალისტებზე ვიტყვი, რომ ისინი ძალიან ცუდად იგრძნობენ თავს. პირადათ მე 8 თვის განმავლობაში კავკასიის მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარეთ ვიყავი, და თუ გამასამართლეთ 100 წელი არ მეყოფა სასჯელათ. რევოლუცია თავის თავად უკანონობაა.

ყოვლად დაუშვებელია გავმართოთ სასამართლო იმისათვის, რაც აწარმოვა მუშ. დეპ. საბჭომ პოლიტიკურის და რევოლუციის მხრით. პირიქით, ჩვენ ყველაფერი ეს უნდა დავადასტუროთ მე ამით ის კი არ მინდა ვსთქვა, რომ მუშათა დეპ. საბჭოს იმუნიტეტი მივილოთ არა, საბჭოს წევრი შეიძლება იქნას გასამართლებული, მაგრამ მაშინ, როცა ნივთიერის მხრით ქრთამის აღებით და სხ. დანაშაული აქვს ჩადენილი, როდესაც საბჭოს წევრი ხელმძღვანელობს თავის მოქმედებაში პირადი ანგარიშისა და ინტერესების მიხედვით. სოც. დემოკ. ფრაქციის შეკითხვაში ხაზასმით არის ნათქვამი თუ

# უკანასკნელი ცნობები

ომის დროს ამერიკასა და მოკავშირეთა შორის დადებული ეკონომიურ და ფინანსიურ ხელშეკრულების განგრძობაზე ამერიკა უარს ამბობს.

შავ ზღვაზე ამიერიდან მოკავშირენი გემებს გასჩხრეკენ რადგან ეჭვი აქვთ დღებული რომ საბჭოთა რუსეთში სურსათი შეაქვთ.

საბჭოთა ჯარი ფინეთის ტერიტორიაზე გადავიდა.

ხარკოვის მიმართულებით ბოლშევიკებმა კირიკოვკა აიღეს.

აღმოსავლეთ ფრონტზე ბოლშევიკები წინ მიიწევენ.

უკრაინის საბჭოთა მთავრობამ პროტესტი განუცხადა მოკავშირეთა მთავრობებს (გარდა ამერიკისა) ძალადობის გამო.

საფრანგეთის ფლოტის დემობილიზაცია ხდება.

რა ზომების მიღებას აპირებს მთავრობა იმის წინაამდეგ, რომ მომავალში მაინც არ განმეორდეს ასეთი საქმეები. მე უნდა მოგახსენოთ, რომ მთავრობას არავითარი ზომების მიღება არ შეუძლია, თუ კი დამფუძნებელი კრება იუსტიციის სამინისტროს შესაფერ დირექტივებს არ მისცემს. ერთად ერთი გამოსავალი გზა არის რაიმე დადგენილების, ან განმარტების გამოცემა დამფუძნებელ კრების მიერ, რომ ისეთი საქმეები, რომელიც რევოლიუციონერმა ორგანიზაციებმა გააკეთეს რევოლიუციის მიხედვით არ არჩიოს სასამართლოებმა.

კამითი შემდეგ სხდომაზე იქნება

## ინგლისელების ჯარის ჩამოსვლა ბათომში

გაზეთ „ნორ-აშხატავორის" ბათომელი კორესპონდენტი იუწყება: მიუხედავად იმ ცნობებისა რომ ინგლისელები გადიანო ამიერ კავკასიიდან, 24 მკათათვის ბათომში ჩამოვიდნენ ინგლისური ახალი ჯარები, რომელთაც უნდა შესცვალონ ამას წინედ საქართველოდან გასულები.

## ერ.-დემ. ფრაქციის შეკითხვა

ერ[illegible] დემ[illegible] ფრაქცია დამფუძნებელ კრებაში შემდეგი შ[illegible]:

3 მკა[illegible] შინ[illegible] საქმეთა მინის[illegible] განკარგულებით დ[illegible] ბურის გაზეთი „[illegible] კიდე" და მისი რედაქცია [illegible]. ამ გაზეთის თანამშრომელი გ[illegible]შვილი ბ[illegible] გაჩხრიკეს და თვით გაბაშვილი დაპატიმრეს.

ეს აქტი დარღვევაა რესპუბლიკის ძირითადი კანონისა სიტყვისა და პრესის თავისუფლების შესახებ.

ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის დავალებით ვეკითხები მთავრობას: იცის თუ არა მან შინაგან საქმეთა მინისტრის ეს უკანონო მოქმედება და თუ იცის, რა ზომებს იღებს იგი, რესპუბლიკის ძირითად თავისუფლებათა დასაცავად.

ეროვნულ-დემოკრატ. ფრაქციის დავალებით ხპ. კედია.

## მუშათა საბჭოების მოღვაწეთა სასამართლოს წინაშე უპასუხისმგებლობა

ფორმულა მიღებული დამფუძნებელი კრების მიერ 31 ივლისის სხდომაზე

მოისმინა რა ს.-დ. ფრაქციის შეკითხვა მთავრობისადმი და ამ უკანასკნელის განმარტება ქუთაისის მომრიგებელ მოსამართლის მიერ ქუთაისის მ. საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ისიდორე ხარატიშვილის გასამართლების შესახებ და მიიღო რა მხედველობაში: 1) რომ რევოლუციონური ორგანიზანიზაციების და მათ წევრთა გასამართლება წარსულ რევოლუციონურ მოქმედებისათვის ყოვლად შეუწყნარებელია, რადგან ეს იქნებოდა რევოლიუციის გასამართლება; 2) რომ ხარატიშვილი მოქმედებდა რევოლიუციონურ ორგანოს—ქუთაისის მ. დ. საბჭოს დავალებით და მხოლოდ მის დადგენილებებს ასრულებდა, ადგენს:

1. რევოლუციონური ორგანიზაციების და მათ წევრთა გასამართლება იმ მოქმედებისათვის, რომელიც მიმართული იყო რევოლუციის და მის მონაპოვართა დასაცავად, დაუშვებელია; 2. ასეთი ხასიათის საქმეების წარმოება, თუ კი ისინი რესპუბლიკის ტერიტორიაზედ სადმე არის დაწყებული დაუყონებლივ მოისპოს; 3. მოისპოს აგრეთვე ხარატიშვილის საქმის წარმოებაც, როგორც ასეთი ხასიათისა.

(დაწვრილებითი ანგარიში ხვალ მოვიყვანოთ).

## რკინის გზა ბორდოდან კალკუტამდე (ინდოეთში)

პროფესსორ იურენევი, როგორც გადმოგვცემს გაზეთი „უ. იუგ."), მოკავშირეებს განზრახვა აქვთ ხმელეთით რკინის გზა გააკეთონ კალკუტის და ბორდოს შუა. რკინის გზა გაივლის ხერსონ-ნიკოლაევ და კერჩ ამიერ-კავკასიის და თურქესტანზედ.

## მორიგი პროვოკაცია

ახალციხის კორესპონდენტი „ნორ აშხატავორს" ატყობინებს, რომ ქალაქში გავრცელებულია ხმები, ვითომ მაჰმადიანებს საქართველოს მთავრობისათვის სამი დღის ვადა მიუციათ „ქალაქი ჩაგვაბარეთო". უმატებენ იმასაც, ვითომ ამის გამო მიღებულია შესაფერი ზომები. გაუგზავნიათ ზარბაზნები და ტყვიის მფრქვევლები.

## სასამართლოში.

**ათი გვარდიელის გასამართლება.**

გუშინ, 31 ივლისს სამხედრო სასამართლოში გაირჩა ათი გვარდიელის საქმე, რომელნიაც ბრალდებოდა 18 აპრილს ველაანში პირველი სასურსათო მაღაზიის გაქურდვა, მაღაზიის დარაჯების დროს. გაუტაცნიათ 7 ტომარა შაქარი. ამ საქმისათვის პასუხის გებაში მიცემულია გვარები: სარიბეგიანცი, ნეფარიძე, პაპალიშვილი, ცოვიანიანცი, ვ. დვალი, დონაძე, ჩხიკვაძე, ოპ ნეზიანცი, ენიკოლოპოვი. ამათგან ხუთი სასამართლომ დამნაშავედ იცნო და სხვა და სხვა ვადით გამასწორებელი სატუსაღო რაზმი მიუსაჯა.

# ქრონიკა

✦ **კვირას 3 მარიამობისთვეს შუადღის 12 საათისათვის სახაზინო თეატრში ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, უპარტიოთა ჯგუფი და რადიკალ-დემოკრატიული პარტია, იწვევს მოქალაქეთა მიტინგს, რომელზედაც ლექციას წაიკითხავს პატივცემული პროფესორი ივ. ჯავახიშვილი შემდეგ თემაზე: საქართველოს საზღვრები გამხილული ისტორიულად და სტრატეგიული თვალსაზრისით. ბილეთები გაიყიდება სახაზინო თეატრში.**

### მთავრობის წრეებში

✦ **მონოპოლია ზოგიერთ საქონელზე.** მთავრობამ დაადგინა სახელმწიფო მონოპოლია შემოიღოს შემდეგ საქონელზე: შავ-ქვაზე, მატყლზე, აბრეშუმზე, ტყავზე, კონიაკზე, თუთუნზე, ხე-ტყეზე, ქვა-ნახშირზე, სპილენძზე და სხ.

✦ **შაქრის ფქვილის გაყიდვა.** ქალაქის გამგეობამ სასურსათო განყოფილებას ნება დართო შაქრის ფქვილი ფუთი 350 მანეთად გაყიდოს.

✦ **დახმარება.** ქალაქის გამგეობამ დახმარების სახით 500 მან. გადასცა „ბავშვებისთვის მზრუნველ საზოგადოებას".

✦ **ქალაქის საავადმყოფო.** ქალაქის საავადმყოფოს წამლებით მზრუნველსაყოფად ყოველდღიურად 60,000 გადაიდოს.

✦ **ქუთაისის შრატის დამზადებელ სადგურის გადატანა.** მთავრობის დადგენილებით საქონლის ჭირთან საწინააღმდეგო შრატის დამზადებელი სადგურს დროებით ქუთაისიდან ციხის ჯვარში გადაიტანენ.

✦ **სამხრეთ ოსეთში ერობის შემოღების შესახებ.** საგანგებო კომისიამ, რომელიც მუშაობდა სამხრეთ ოსეთში ერობის შემოღების საკითხის შესახებ დაადგინა შესწყვიტოს კომისიის სხდომები ადგილობრივ (სამხ. ოსეთში) წინასწარ მუშაობისათვის. კომისიამ ეს აცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს.

✦ **საზღვარ-გარეთ გასავალ პასპორტების შესახებ.** საზღვარ-გარეთ გასავალ პასპორტების მიღება ხდება შემდეგი წესით: 1. მთხოვნელმა უნდა წარადგინოს შინაგან საქმეთა სამინისტროში განცხადება თავისი ნიშნების აღნიშვნით: 2. განცხადებაზე უნდა იყოს დაკრული 4 მანეთის სალგრბო მარკა, შემოწმებული მილიციის უფროსის ან კომისრის მიერ; 3. საჭირო მოწმობა ა) სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების შესახებ, ბ) რომ მთხოვნელს არ ებება რაიმე სასჯელი, გ) რომ მთხოვნელზე არ ითვლება რაიმე სახელმწიფო გადასახადი; 4. განცხადებაზე დაკრული უნდა იყოს მთხოვნელის ფოტოგრაფიული სურათი; 5) პასპორტის მიღებისათვის მთხოვნელმა წინასწარ უნდა შეიტანოს ხაზინაში 20 მან. და კვიტანცია ხაზინიდან, მიცემული ნომრის აღნიშვნით იქმნას განცხადებაზე მიკრული.

### სხ. და სხ. ამბები.

✦ **არ. გეგეშიძის ოჯახი.** მგოსან იროდიონ ევდოშვილის ოჯახობა ამ ჟამად ძლიერ უჭირს მდგომარეობას განიცდის. პოეტის მეუღლე სახადით არის ავად და სახლში წევს, მას წამლის ფულიც კი არ მოეპოება. ხოლო მისი წვრილი შვილები უდედმამოდ არიან დატოვებულნი. მივაქცევთ ჩვენი საზოგადოების ყურადღებას.

✦ **ქურხულის ავადმყოფობის გამო** რედაქციამ მიიღო ავადმყოფ მუსიკოს ილ. ქურხულის გადასაცემად სასადილო „იმედი"-საგან სამასი მანეთი.

✦ **პროფესორთა მოწვევისათვის.** ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა პროფესორი ლაზაროვი და არშაკ ბაბოვი გაემგზავრნენ ჩრდილო-კავკასიაში, მათ დავალებული აქვთ მოიწვიონ რუსი პროფესორები მომავალ სამეცნიერო წელს ლექციების წასაკითხად აღნიშნულ უნივერსიტეტში.

✦ **ერობათა სტატისტიკოსთა ყრილობის დამთავრება.** რესპუბლიკის ერობათა სტატისტიკოსების ყრილობა უკვე დასრულდა. ყრილობაზე გამოტანილ იქმნა მრავალი საყურადღებო დადგენილება. აირჩიეს საგანგებო აღმასრულებელი ბიურო, რომელსაც დაევალა ხელმძღვანელობა გაუწიოს ერობათა სტატისტიკურ მუშაობას.

✦ **შეწირულება.** მეორე ქართული კლუბის გამგეობამ შესწირა სამხედრო ტაძრის გამგე კომიტეტს ტაძრის საჭიროებისათვის 8,570 მან.

✦ **ქურდობა** ივლისის 30-ს ავლაბრის ქუჩაზე მ. კოვალიოვის ბინიდან ქურდებმა მოიპარეს 22,000 ნივთები. მილიციამ ქურდი შეიპყრო.

✦ **მათრახები მილიციის უფროსმა** ბრძანება გამოსცა, სადაც ნათქვამია, რომ ქუჩაში ბევრი მილიციონერი დადის მათრახით, რაც ძლიერ ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს. მილიციის უფროსი კატეგორიულად უკრძალავს მილიციონერებს მათრახების ხმარებასა და მცხოვრებთა უზრდელად მოპყრობას.

✦ **ქალის დახრჩობა** ივლისის 31-ს ოვანეს გულიანცმა მილიციის განუცხადა, რომ თუმანოვის ქუჩაზე ბანდში მცხოვრები ჩემი ხასა ოლღა ოვჩენნიკოვისა დამხრჩვალი დამხვდაო. მილიციამ ეჭვით შეიპყრო ტერ-გალუსტოვი და თვით გულიანცი.

## პროვინციის ცხოვრება

### ძ. ქუთაისი.

ქუთაისის (ბონის) განახლებულ სოსტატო სემინარიის კურს დასრულებულებად ითვლება შემდეგი მოწაფენი: 1. აბულაძე ალექსანდრე, 2. ბაბტაძე სარდიონი, 3. ბლუაშვილი დავითი, 4. გვაზავა ნიკო, 5. ზუბუზაია ერასტი. 6. თუთარიშვილი ალექსანდრე, 7. კობალეიშვილი ბართლამე, 8. კუტივაძე ელიაზარი, 9. ლიგვილავა ტარასი. 10. მელაძე პარმენი. 11. მესხი მათე, 12. ნადირაძე გრიგოლი, 13, ჩაფიძე ნესტორი, 14. ჩირგაძე პოლიკარპე, 15 ჩიტაია ირაკლი, 16. ქირია ალექსანდრე, 17. ქანტურია გრიგოლი.

— **პურის ნაკლებობა ქალაქში.** უკანასკნელ დღეებში ბაზარზე პურის შეტანა მეტად გაჭირდა, ხალხი თითქმის ნახევრად უმცხვარ პურს იტაცებს ფურნეებიდან იმის შიშით რომ სრულიად არ დარჩეს უპუროთ. ამის მიზეზათ ასახელებენ ქალაქის გამგეობის მიერ კერძო პირთათვის პურით ვაჭრობის აკრძალვას.

— **სომეხთა ეროვნულ საბჭოს არჩევნების გადადება.** სომეხთა ეროვნულ საბჭოს არჩევნები, რომელიც უნდა მომხდარიყო 20 ივლისს სხვა დროისათვის გადაიდო.

— **პურის მოსავალი ახალციხის მაზრაში.** წელს ახალციხის მაზრაში პურის მოსავალი შედარებით კარგია. პურის მკას უკვე შეუდგნენ, ახალი პური ამ დღეებში შემოვა ბაზარზე.

— **ცელები.** ახალციხის მაზრის გლეხთა საბჭომ უკვე მიიღო ცელები და ანაწილებს გლეხთა შორის.

— **ლექცია.** 22 ივლისს, ოფიცერთა კლუბში პოლკოვნიკმა ლეკვინაძემ წაიკითხა ლექცია: „თამარის ოქროს ხანა". ხალხი ბევრი დაესწრო, განსაკუთრებით სამხედრო პირები. ლექცია შინაარსიანი და დამაკმაყოფილებელი იყო.

— **გაზეთის ხმაურიანება.** უკანასკნელ დღეებში ახალციხეში თბილისის გაზეთები ერთი ორად და ერთი სამად იყიდება.

— **აბრეშუმის პარკი** იმერეთში ფუთი 650 მანეთად იყიდება.

— **სიმინდი.** ახალციხის გლეხთა საბჭომ მიიღო მთავრობის მიერ გამოგზავნილი სიმინდი და ამ დღეებში გაუნაწილებს მცხოვრებთ.

## ინგლისელების მიერ კასპიის სამხედრო ფლოტილიის მოხალისეებზე გადაცემა

გაზ. „როსია" 18 №-ში დაბეჭდილია შემდეგი ცნობა. ამ ჟამად პეტროვსკში ინგლისელები მოხალისეთა ჯარს აბარებენ კასპიის სამხედრო ფლოტილიას.

ჯერ ხნობით გადაცემულია დივიზიონი გამანადგურებელ გემთა რომელნიც ანდრიას დროშები აღმართეს. რუს მეზღვაურებმა ჩაიბარეს აგრეთვე რამდენიმე დიდი და პატარა შეიარაღებული გემი.

ზღვაში პეტროვსკის წინ ყოველ დღე არის საზღვაო ალლუმები და სასწავლო სროლა. საყურადღებოა გამანადგურებელთა მოქმედება, რომელნიც 80 ვერსამდე გადიან საათში. ისინი ღუიტხედის ნაღმებით არიან შეიარაღებული.

კასპიის ფლოტილიის შტაბს საკმაოდ მოეპოვება გემზე მოსამსახურე მეზღვაურთა და ოფიცერთა შემადგენლობა.

## ინგლისის საჰაერო რაზმი დენიკინის დასახმარებლად

ეკატერინოდარში ჩავიდა ინგლისელ მფრინავთა ოფიცრები, რომლებიც შეავსებენ მოხალისეთა ჯარის ოფიცერთა შემადგენლობას. ჩამოსულთა შორის ინგლისის საუკეთესო მფრინავებია არიან. რაზმის უფროსად არის მაიორი კოლლიშორი, რომელმაც 64 საჰაერო გამარჯვება მოიპოვა გერმანელ ავიატორებთან ბრძოლაში.

## ტროცკის გადაყენება

როსტოვის მკათათვის 25-ს გამოსულ გაზეთებში მოთავსებულია ცნობა, რომ ტროცკი სამხედრო საქმეთა კომისრობას თავს ანებებს.

ეს ცნობა როსტოვის გაზეთების თქმით საბჭოთა გაზეთებიდან არის ამოღებული.

ადგილიდან გადადგომის მიზეზად მის ავადმყოფობას ასახელებენ.

ტროცკის მოადგილე ჯერ დანიშნული არ არის.

## კოოპერატიული ცხოვრება.

საქართველოს კოოპერატიულ ბანკის წესდება უკვე წარადგინა ფინანსთა მინისტრს, რომელმაც დამფუძნებელთა აღუთქვა წესდების ამ დღეებში დამტკიცება.

— ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირის არა სავაჭრო განყოფილებასთან დაარსდა საბჭო, რომელიც გამოიმუშავებს გეგმას კავშირის კულტურულ განმანათლებელ მოღვაწეობისას ხელოვნების და სხვა დარგში. საბჭოს პირველი სხდომა ჰქონდა 17 ივლისს.

— ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირმა უკვე მისცა ავანსი დრამატიულ სტუდიას და ქართ. სამუსიკო საზოგადოებას.

— ამიერ კავკ. კოოპერატივთა კავშირის დრამატიული სტუდია შეუდგა მუშაობას. პირველი წარმოდგენა დაიდგმება სექტემბერში არტისტიულ საზოგადოებაში. სტუდიის რეჟისორებათ მოწვეულნი არიან ა. ჯაბადარი კ. შათირიშვილი და ქორიძე.

— ამიერ კავკასიის კოოპერატიულ ყრილობათა საბჭომ საჭიროთ ალიარა თავისი პერიოდული ორგანოს გამოცემა რუსულ ენაზე.

— საქართველოს კოოპერატიულ ბანკის აქციები შეიძინეს ზოგიერთმა სარაიონო კავშირებმა და ცალკე კოოპერატივებმაც.

— სამხრეთ რუსეთის კოოპერატივთა კავშირის („დოკატის") გამგეობის წევრი ავტონომოვი ჩამოვიდა თბილისში. მან ჩამოიტანა ბათომში მთელი გემი რკინეულობისა და სხ. ეს საქონელი განაწილდება ჩვენში ამიერ კავკასიის კოოპ. კავშირის მიერ. ბათომში უკვე გაიგზავნა საბაგიეროთ ორი ვაგონი ბრინჯი და ერთი ვაგონი ქიშმიში.

— ინგლისელ აქციონერულმა საზოგადოებამ წინადადება მისცა ამიერ-კავკ. კოოპ. კავშირს, რომ ის მიაწოდებს კავშირს საკომისიო პირობებით 250 მილიონის საქონელს, რის მაგიერ თხოულობენ ნედლ მასალას. ამ ოპერაციის საბოლოოდ მოსაწყობათ საჭირო იქნება კავშირის წარმომადგენლის ლონდონში გაგზავნა.

— მოსკოვის სახალხო ბანკის თბილისის განყოფილებამ გაუხსნა კრედიტი: ოზურგეთის კავშირს—600.000 მ. საჯევახოს კავშირს—300.000 მ. პარკის ოპერაციებისათვის, გორის კავშირს—1.000,00 მან., გორის კავშირს —1.000.000 მ. პურის ოპერაციებისათვის.

— მუხრანის კოოპერატივის საზოგადო კრებამ გადასდო 1000 მ. კოოპერატიულ სკოლისათვის და შეიძინა სამი აქცია საქართველოს კოოპერატიული ბანკისა.

— კოოპერატივების ახალი წესდებაზე გადასვლის ვადა, რომელიც გათავდა ამა წლის მაისში, საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ გაგრძელებულია 6 თვით (ნოემბრამდე) საჭიროა ამ დროის განმავლობაში კოოპერატივებმა მიიღონ ახალი წესდება.

## აგრარული რეფორმა

იანვრის 28-ის აგრარულ კანონით ჩამორთმეული მიწები მიწად-მოქმედების სამინისტროს აგრარულ რეფორმათა განყოფილებამ 4 კატეგორიათ დაჰყო. ეს კატეგორიები აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ივის ცალცალკეა შედგენილი:

**1. დასავლეთ საქართველოსთვის.**

პირველ კატეგორიაში შედის: ეზოს ადგილები, ბაღების და ვენახების გასაშენებლათ გამოსადეგი ადგილები და აგრეთვე სარწყავი ადგილები და არხები მდინარეთა ველებზე („ხვილიპები"). ასეთი ადგილები ჩვეულებრივ დასვენებას არ საჭიროებენ და საშუალოთ თითო დესეტინა იძლევა წლიურათ არა ნაკლებ 150 ფუთი სიმინდისა.

მეორე კატეგორიაში შედის: ურწყავი სახნავი მიწები, საშუალო მოსავლის მომცემი, რომლებიც თითქმის არ ისვენებს და საშუალოთ დესეტინაზე 100 ფუთამდე სიმინდის მარცვალს იძლევა და აგრეთვე ისეთი სათიბები, რომელიც დესეტინაზე საშუალოთ 150 ფუთ თივას იძლევა.

მესამე კატეგორიაში შედის: ნამეტანი ნესტიანი, ქვიანი და საერთოთ ნაკლებ ნაყოფიერი მიწები („იწერი"), რომლებიც ცოტათ თუ ბევრათ ხანგრძლივ დასვენებას მოითხოვს და წელიწადში დესეტინაზე საშუალოთ 60 ფუთამდე სიმინდს იძლევა.

მეოთხე კატეგორიაში შედის: საძოვრები, ე. ი. ჯაგებით დაფარული, ცოტათ თუ ბევრათ ჭაობიანი, ქვიანი ან დახრამული მიწები. მათი ფასათ მიღებულ უნდა იქნეს პირველ კატეგორიის მიწების ღირებულების არა უმეტეს ერთი მეხუთედისა, ხოლო მათის საძოვრების და საბალახოების ფასათ შესაძლებელია მიღებულ იქნეს პირველ კატეგორიის მიწების ღირებულების ერთი მეოთხედი.

**2. აღმოსავლეთ საქართველოსთვის.**

პირველ კატეგორიაში შედის: საცხოვრებელ ადგილების ახლომდებარე, ბაღების და ვენახების გასაშენებლათ გამოსადეგარი და სარწყავი მიწები, რომლებიც ცოტა დასვენებას მოითხოვს და საშუალოთ წელიწადში 60 ფუთამდე ხორბალს იძლევა.

მეორე კატეგორიაში შედის: საშუალო ნაყოფიერების ურწყავი სახნავი მიწები, რომლებიც შედარებით ხშირათ ისვენებს და წელიწადში საშუალოთ დესეტინაზე 50 ფუთამდე ხორბალს იძლევა და აგრეთვე სათიბები, რომლებიც საშუალოთ წელიწადში დაახლოვებით 150 ფუთ თივას იძლევა.

მესამე კატეგორიაში შედის: ურწყავი ნაკლებ ნაყოფიერი და ასეთი მიწები ხშირათ მოითხოვს დასვენებას და დესეტინაზე წელიწადში საშუალოთ 30 ფუთამდე ხორბალს იძლევა.

მეოთხე კატეგორიაში შედის: დაბალ ადგილების საძოვრები, სადაც ზაფხულის თვეებში ბალახი ხმება და შესაძლებელია შეფასდეს პირველი კატეგორიის მიწების ღირებულების ერთ მეხუთედათ, ხოლო მათი საძოვრები ერთ მეოთხედათ.

## სომხეთი

**სომეხ ლტოლვილთათვის.**

სომხეთის მთავრობამ დაადგინა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ლტოლვილთა დასახლებისა და მათი მომწყობი განყოფილება დაარსოს. ამ საქმისათვის საჭირო კრედიტი შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცა.

ლტოლვილების დაბრუნებისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს 300,000 მანეთის კრედიტი გაეხსნა.

**აზერბაიჯანთან ხელშეკრულება.**

აზერბაიჯანთან დადებული სავაჭრო ხელშეკრულება მთავრობამ დაადასტურა.

**მილიციის კურსები.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს 800,000 მანეთი გადაეცა სომხეთის 14 მაზრაში მილიციონერებისთვის 8 თვიან კურსების მოსაწყობად.

**სომხეთის მობილიზაციის დებულება**

1. სომხეთის რესპუბლიკის ყველა მამაკაცი 16 წლიანამდე მოვალე იქნება ოლქის სამხედრო ბიუროსაგან მიცემული პირობის მოწმობა რაშიაც აღნიშნული იქნება მათი დამოკიდებულება სამხედრო ბეგარასთან.

2. სომხეთის რესპუბლიკის ჯარის კაცების სამსახურში გაწვევის საერთო ვადა დაწესდება 18 წელი, რომლისგან 3 წელი ნამდვილ სამსახურის ვადაა, 15 წელი კი სათადარიგო ჯარის კაცად ყოფნისა.

3. ოჯახობის გარემოებების გამო მიეცემათ მხოლოთ პირველ რიგის პრივილეგია, სამაზრო სამობილიზაციო გამგეობის მიერ შემოწმების შემდეგ ეს პრივილეგია მიეცემა ოჯახის ერთი შემნახველს.

ღვდლისმერთა შვილებს, რომლების მამებსაც მუშაობა შეუძლიან, არ მიეცემა პრივილეგია.

4. უმაღლეს სასწავლებლების მოსწავლენი, 20 წლისა სახედრო სამსახურში გაიწვევიან საშუალო სკოლებში მოსწავლენი კი სკოლის დასრულების შემდეგ. სამსახურის საერთო ვადა როგორც პირველთათვის ისე უკანასკნელთათვის დანიშნულია 18 წელი; 9 თვე ნამდვილი სამსახურს ეკუთვნის, დანარჩენი 15 წელი და 3 თვე ჩაითვლებიან სათადარიგო ჯარის კაცად.

5. ყველა კლასების სათადარიგო ოფიცრები სამხედრო მინისტრის საშუალებით ნამდვილ სამსახურში მოიწვევიან მისი ნების და მისი მოთხოვილ რიცხვის თანახმად. სხვა დაწესებულებებში მოსამსახურე ოფიცრების მდგომარეობა რჩება უცვლელად და ყველა ისინი დაექვემდებარებიან მობილიზაციას.

სასამართლოს თანამდებობის ამსრულებლების, სასამართლოს გამომძიებლების, შინაგან საქმეთა სამინისტროში მოსამსახურეების, სამაზრო და საოლქო კომისარების გამონაკლისით სამსახურში არ გაიწვევიან.

ამ ყველა ზემოხსენებულ პირების შესდგება სიები, რომლებში ნაჩვენი იქნებიან მათი სამსახურები. ეს სიები გაეგზავნება სამხედრო ნაწილის უფროსს და სამხედრო სამინისტროს სამობილიზაციო განყოფილებას.

**ოსმალების პროპაგანდა ნახიჩევანის მაზრაში.**

ტრაპიზონიდან „ჟოღ. ძაინს", აუწყებენ, რომ ოსმალების „ერთობა და პროგრესის" პარტიის კომიტეტი, რომელსაც სომეხ ლტოლვილთა სამშობლოში დაბრუნების წინააღმდეგობის გაწევას აპირებდა, ახლა დაუწყია თავისი პროპაგანდა ნახიჩევანის ოლქში. ხმებია, ვითომ ენვერ ფაშა აღმოსავლეთ ამიერ კავკასიაშია.

**ამერიკის პროტექტორატი**

მიღებულ ცნობების თანახმათ „ამერიკის დახმარების კომიტეტის" საქმეები მიუღია ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობას, რომლის წარმომადგენელი უკვე შესულა სასურსათო საქმის კომიტეტის შედგენილობაში. აგრეთვე ინგლისელების ნაცვლად ოსმალეთის სომხების თავის სამშობლოს დაბრუნების საქმეების სათავეში ჩამდგარა ამერიკის მთავრობა, რომლის სამხედრო მისსია მიემგზავ-

...რება ამ მიზნით სომხეთში. როგორც ჩანს სომხეთი ამერიკის მთავრობის ქვეშ შედის. („ამზ.“).

**ამერიკული ჯარი და სომხეთი.**

ამერიკის სამხედრო მინისტრმა შესწირა ამერიკულ ჯარის კუთნილ სურსათისაგან 5 მილიონი დოლარის სურსათი სომხის ჯარის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. („ამზ“)

**ბრძოლა დაშნაკელების წინააღმდეგ.**

სტამბოლში სომხურმა პრესამ დაშნაკელების წინააღმდეგ გაილაშქრა „შეერთებულ სომხეთის“ გამოცხადების აქტის გამო სტამბოლელი სომხები დაშნაკელებს მომავალ სომხეთის ვადაშნაკელობის განზრახვას აბრალებენ. ნუბარ ფაშის გაშავებაში და მის ალაგას დაშნაკელის დანიშვნაში ბრალსა სდებენ.

## მუხრუჭი და წილადობილა

გაზ. „საქართველოს“ № 262, 1-ლი მარიამობისთვის თარიღით დასტამბულია ფრიად საყურადღებო წერილი სათაურით: ხელოვნური სპეკულიაცია და წვრილი ერობა, ეს წერილი ეკუთვნის ლეხაინდრამ-ონოლიის (სენაკის მაზრის ერობის პრეზიდიუმს. ეს წერილი, როგორც ეტყობა, უკანასკნელი ამონაკვნესია ბოლომა მოსული ერობისა, მოთმენის ფიალა ავსილია, იმედს ბოლო მოეღება, და სამართლიანად სასოწარკვეთილი კილოთი მიმართავენ თავიანთი თანამოძმე წვრილ ერობებს, ვინ ხარ მამაცი, ხმა აიმოიღეთ, მათ მიმართავენ: ცდა, ლოდინი უნიადაგოა, იმედი უნაყოფო!

თავიანთის მხრით გულსაკლავი გარემოების დასამტკიცებლად ფაქტებით ხელში ენერგიულ უკმაყოფილებას „პროტესტს უცხადებენ მთავარი სასურსათო საბჭოს, საქონლის გადატან-გადმოტანაში წვრილი ერობის უფლების შეზღუდვის შესახებ:

ამ გულწრფელი, ნაღველით ალსავსე წერილში ნათლად დასურათებულია საბჭო და სამაზრო ერობის არა ნორმალური პოლიტიკა ხალხისათვის საქონლის მოწოდების დარგში: აქ თვალსაჩინოდ ახსნილია, ორგანიზაციები რომელნიც მოწოდებულნი არიან ძთავრობისაგან ხალხს იაფად მიაწოდონ მისთვის საჭირო პირველ მოთხოვნილების საგნები, პირიქით თავიანთი პოლიტიკით ორ- სამკეცად უძვირებენ სოფლის მუშას ამ ნივთებს, მაგალითად, სოფლის მუშა იძულებულია მაზრის ერობას ნიხრით (ტაქსით) მიყიდოს თავის ნაწარმოები სიმიდი და სხვა, ამნაირად მაზრის ერობა სიმიდს ყიდულობს მუშისაგან, ვთქვათ, 40 მან., მას მიაქვს თავის საწყობში. გადაზიდვა ფული უჯდება, საწყობი ნაქირავებია, მრავალ მოსამსახურეს და სხვა და სხვა ხელს დაკმაყოფილება უნდა, თვითონ ერობასაც მოგების უმადობა არ ეტყობა, შადა კარგი აქვს! შემდეგ ამისა სიმიდს ჰყიდის საბჭოსა თუ სხვებზე ყოველივე ხარჯის დაფარვით და მოგებით—60 მან. საბჭოს მოაქვს თბილისს. აქ ამ სიმიდს იგივე პროცედურა უხდება: ხარჯი, ბარჯი და საბჭოს მოგების სურვილი, მაშასადამე საბჭო ჰყიდის ამავე სიმიდს ფუთს კავშირთა—კავშირზე და სხვა ვისმეზე 75-80 მან., ამნაირად ნაწვალები სიმიდის ფასი ორკოსავით იზრდება და სოფლის მუშამ თვითონვე, რომ მოინდომოს ამ სიმიდის ყიდვა ან სულ ვერ იშოვის და თუ იშოვა უკანასკნელი 100 მან. უნდა გამოიღოს აი სიაფე, თუ გაიაფება? ეს ერთი.

მეორე: მაზრის ერობა მარტო მოტანისათვის არ არის მოწოდებული, მან კიდევ უნდა შემოიტანოს (!) მისი მოტანილი საქონლით გალაღებული ხალხი ჯერ არავის უნახავს, მაგრამ სულთმობრძავი მკვდარივით რაღაც მაინც მოაქვს, მაგრამ ვაი ამისთანა მოტანას! მართლაც მოუტანლობა სჯობია, სამაზრო ერობა საბჭოსა თუ სხვა ორგანიზაციებისაგან ყიდულობს, ხალხისათვის მოაქვს, მაგალითად, ნარმა, ჩითი, შაზი და სხვა რამე; რამდენი კიბე-საფეხურს გაივლის ეს საქონელი, იმდენი აუტანელი გასავალი ზედ ედება; მაზრის ერობა ხომ არავის უკან არ ჩამორჩება, ხარჯიც უნდა და მოგებაც და სანამ ჩიოუვანა სოფლის მუშამდის მიაღწევდეს, ფასები ისე გაიბერება, რომ ლამის სიძვირის გამო გასკდეს და პატრონს მიელიც ვერ ჩაბარდეს, აქ კი უნიჭრობას ფართე ნიადაგი ეძლევა.

ხალხი და მისგან ნდობით ალსავსე წვრილი ერობა კვნესის ამ თავდარიგის ქვეშ. ბევრჯელ შინაურად ყოფანიც კი აუტეხია, მაგრამ გარეშეთა სურვილებს ვინ გადალახავს! აივსო ფიალა და ლეხაინდრაოს ერობამ სამქვეყნოთ ლელადმყო უკულმართი პოლიტიკა; ხალხი და წვრილი ერობა შებოჭილია, შეკრულია, გასაქანი არა აქვს: პოლიტიკის ჯაჭვის ერთი თავი საბჭოს უპირავს. მეორე სამაზრო ერობას, იქით-აქეთ ეჭაჩებიან და სოფლის მუშა წვრილი ერობა ლამის წაიხრჩო!

აი ამასა ჰქვიან მწარედ ბედის დაცინვა, ამას ჰქვიან მუხრუჭი!

მაგრამ მაგას ვინ დაგიდევს.

უპრიანი არ იქნებოდა, რომ ყიდვა-გაყიდვა დაპირდაპირდეს, შუამავალი ჩამოცილდეს, საქონელი ხომ უფრო იაფი იქნება?

საბჭო—მაზრის ერობის სურვილი ფართე და განუსაზღვრელია.

საბჭო-მაზრის ერობა დაძმობილდენ. მისცეს ერთმანეთს მტკიცე პირობა: იაფჭრონ, ილალონ, წავიდნენ სხვა და სხვა გზით. მაზრის ერობა სოფელს მიადგა, საბჭო ქალაქს, მაზრის ერობა ეუბნება ს. მუშას: სოფლის მუშავ, მომეცი სიმინდი იაფად, მას დავაწერ ხარჯს, მოგებას და მიუტან-მივყიდი ძვირად საბჭოს; საბჭომომცემს ნარმაჩითს, ის დაადებს თავის წინა ფასს და შენ მოგიტან, მაგრამ შენ კრინტი არ დასძრა, უნდა მომცე სიმინდი, წვრილი ერობა აინუნში არ მიმდის... საბჭომ დიდი იხრა, თუ პატარა წივიდა ქალაქთა თუ სხვა კავშირთან, და ეუბნება: „კავშირო, მომეცი ჩითი და ნარმა, გავწერ ხარჯ-მოგებას, გადავცემ მაზრის ერობას, ის გაწერაში მეც არ ჩამომივარდება: გაწერს ფასებით გაპიმავს და მიუტანს სოფლის მუშას, სოფლის მუშა მოგვცემს (ვაიძულებთ) სიმიდს მოუტანთ ქალაქის მუშას, ქალაქის მუშა მოგვცემს—გამოგვაცხობდებს ნდობას:

ისინი—სოფლის და ქალაქის მუშები ბედს ვერ დაიმდურებიან: ორივეს ძვირად მივყიდით საჭირო საქონელს!

აი ამას ქვია საბედისწერო წინადობილა. როდემდის?!.

ახარი.

## სომხეთის სამხედრო ცნობა

(სომხ. დეპეშ. სააგენტო)

„ჩვენი ნაწილები რიცხვით უმრავლესმა მტერმა აიძულა დაეხია. ჩვენ დავსტოვეთ ნახიჩევანი.

ჩვენი ზარალი: 3 ოფიცერი მოკლული, 2 დაჭრილია—23 ჯარისკაცი უკვალოდ დაიკარგა.

მკათათვის 26-ს ნახიჩევანის რაზმმა ს. აგნაშიურთან მოიგერია მაჰმადიანთა იერიშები. მაჰმადიანთა ბრბო 500—600 კაცისაგან შესდგება. მკათათვის 24—27-ს ჩვენმა ჯარმა დაიჭირა სოფ. ახილისი, ვაგდანესი, გენალუ, არდანასე, გორსი, კეღლუჯი და მავუ. ზინჯირლუს გზა თავისუფალია.

კამარლუს სანარებში მაჰმადიანები ორ ჯგუფად 40—50 კაცი მოუახლოვდნენ ჩვენ სადარაჯო რაზმებს და 600 ნაბიჯიდან სროლა აუტეხეს მტერი მოვიგერიეთ,

ორი მძიმედ დაგვიჭრეს“.

## უცხოეთის ამბები

### ქურნალ-გაზეთებიდან.

**პეტროგრადი.**

ჰელსინგფორსიდან დეპეშით ატყობინებენ გაზ. „ტაიმს“, რომ დაპატიმრებულებს პეტროგრადის ციხეებიდან ჰგზავნიან მოსკოვში. პეტრო-პავლეს ციხეზე დადგმულია 12, 18 და 24 დიუმიანი ზარბაზნები და ოთხი ბატარეა, თუკითუ თუ ბოლშევიკები იძულებულნი იქნებიან, დასტოვონ ქალაქი, მაშინ ბოლშევიკები პეტროგრადს დაანგრევენ.

**სომეხთა ინფორმაცია.**

გაზ. „აზხატავორში“ დაბეჭდილია ცნობა, სათაურით „აზერბაიჯანის ნეიტრალიტეტი“, სადაც შემდეგი სწერია: „მტკიცე წყაროებიდან გვაუწყებენ, რომ ყოველ დღე განჯიდან და მისი ოლქიდან გადადიან სომხეთის საზღვარს და მიდიან სომხეთის წინააღმდეგ აჯანყებულ მაჰმადიანთა დასახმარებლად.

**ქურთთა ბელადი სიმკო—სალმასტში.**

ქურთების ბელადს სიმკოს სალმასტის სომეხ სოფლებში დარაჯები დაუყენებია, რომ დანარჩენი სოფლები გადაარჩინოს განადგურებისაგან. („ნ. აზხ.“).

**შიმშილობა სალმასტის მაჰმადიანებში**

შიმშილობა სალმასტის მაჰმადიანებში მძვინვარებს. მცხოვრებთაგან მხოლოდ ერთი მერვედი არის გადარჩენილი. (ნ. აზხატ.).

**გენ. ბიჩი.**

გენ. ბიჩი მკათათვის 26-ს ქალ. ურმიიდან ჩამოვიდა თავრიზში და განკარგულება გასცა, რომ 12,000 სომეხი ლტოლვილი თავის საშობლო სალმასტში დაბრუნებიათ. გენერალი ამის შემდეგ ჯულფისკენ გამგზავრებულა. (ზანგ.).

## დეპეშები

(საქ. დეპეშ. სააგენტო)

მარიამობისთვის 1-ს.

### ინგლისური პრესა.

**ხელშეკრულება ბულგარეთთან.**

ბულგარეთის დელეგატებმა ორშაბათს რწმუნებულების გრამატები წარმოადგინეს. ბულგარეთის ხელშეკრულების პირობები ყველა მზადაა, გარდა ფრაკიისა და ეგეის ზღვის შესახებ, რაც აქამდე სიძნელეს წარმოადგენს. ამერიკა და იტალია იმ აზრის არიან, რომ ბულგარეთს ზღვისაკენ გასავალი უნდა მიეცეს. დღეს ცნობა მოვიდა, რომ ჯერჯერობით ეს აზრი იმარჯვებს.

**ამერიკა ევროპასთან ეკონომიურ ხელშეკრულებას უარჰყოფს**

ტიტტონის წინადადებას, რომ ომის დროს ამერიკასა და მოკავშირეთა შორის დადებული ფინანსიური და ეკონომიური ხელშეკრულებანი, გაგრძელდეს ამერიკა არ იზიარებს. იტალიას, საფრანგეთს და ინგლისს ძალიან სურთ ხსენებულ ხელშეკრულებათა გაგრძელება, მაგრამ ამერიკა გადაჭრილ უარს აცხადებს ამაზე.

**ფრაკიის საბერძნეთზე.**

ტიტტონის და ვენიზელოს კერძო საუბარი ჰქონდათ და ბერძნულ წყაროებიდან მიღებულ ცნობებით, საბერძნეთისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებას მიაღწევს ფრაკიის შესახებ.

**ჰუნგრეთის „კოლჩაკი“**

ხუთთა საბჭო ჯერ კიდევ ცდილობს გამონახოს საშუალება რუსეთში და ჰუნგრეთში ბოლშევიზმის ჩასაქრობად. უკანასკნელ ხანს ჰუნგრეთში მათ ყურადღებას იქცევს ჰუნგრეთის გამოჩენილი მხედარი, გენ. ბემი, რომელიც ბუდაპეშტში საბჭოთა მთავრობას წითელი ჯარის შედგენაში ეხმარებოდა, მაგრამ შემდეგ გადააყენეს ნაკლებ რადიკალობისთვის, მოკავშირეები რომ მას დახმარებოდნენ, გენ. ბემი ბელაკუნის კონტ-რევოლიუციის შექმნას შესძლებდა. ჯარის უმეტესობა მას საუკეთესო სტრატეგად სთვლის და მზადაა მის დროშის ქვეშ იბრძოლოს. საზავო კონფერენციის მიერ მიღებულ კერძო ცნობით, გენ. ბემი ზომიერ ბოლშევიზმს ჰქადაგებს, რაც მას იმდენადვე მოსათმენათ ხდის მოკავშირეთათვის რამდენადაც კოლჩაკი. ყველაზე მეტად ის საჭიროებს ფულს, ამუნიციას და იარაღს, რაც უნგრეთში ამ ჟამად ერთიანად ბელაკუნის ხელშია. გენ. ბემს გავლენა აქვს გლეხებში, რომელნიც ბუდაპეშტის მმართველებს თან და თან ეთიშებიან.

**ბლოკადა შავ ზღვაზე.**

რუსეთის შესახებ ჯერ არაფერია გადაწყვეტილი მზადდება ბლოკადა არის იმის ნიშნები, რომ შუა ზღვაში გემებს გააჩერებენ, რადგან ეჭვი დაიბადა, რომ ვაჭრებს საბჭოთა რუსეთისთვის საქონელი მიაქვთ.

**იტალიელთა სალამი საფრანგეთის ჯარისადმი.**

იტალიაში მყოფ საფრანგეთის ჯარის დაბრუნების გამო იტალიის მთავარ შტაბის უფროსმა ამ ჯარის სარდალს გენ. კრეპს შემდეგი წერილით მიმართა: კეთილ ინებეთ და ჩვენ ფრონტზე მყოფ მამაც დივიზიების ნაწილს. თქვენ ბრიგადას გადაეცით სალამი, რომელსაც მე ვუგზავნი იტალიის ჯარის სახელით. საფრანგეთის ჯარმა საუცხოვოდ შეასრულა თავისი მოვალეობა იტალიის ჯართან მტკიცე კავშირით. ალტიპიანოს და აზიაგოს მ ა ღ ლ ო ბ ე ბ ი და ვენეციის ბრძოლის ველი მოწმეა ფრანგ-მხედართა მამაცობისა და თავგანწირულებისა. თავისუფლებისა და სამართლიანობის იდეისთვის მკაცრი ბრძოლის დროს, როდესაც ფრანგი და იტალიელი ჯარისკაცები მხარ და მხარ მიდიოდნენ ბრძოლაში, როდესაც იტალია თავის დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა, ეს დღეები უფრო გამტკიცდა და იარაღის ძალა გაიზარდა. ორივე ჯარის მიერ ერთად დაღვრილი სისხლი მომავალში შეურყეველ კავშირს შექმნის. იტალიელ ჯარისკაცების სალამი მოწმობს მათ მეგობრობის გულწრფელ გრძნობას და იმის რწმენას, რომ ეს 2 ერი მოკავშირეებადვე დარჩება.

### გერმანული პრესა.

**ჰ უ ნ გ რ ე თ ი.**

ჰუნგრეთის საბჭოთა მთავრობის მდგომარეობა შესამჩნევათ შეირყა მას შემდეგ, რაც მის ჯარი უკანასკნელად დამარცხდა.

**„ფორვერტსი“ ბელგიელ სოციალისტებზე.**

„ფორვერტსი“ ბელგიის სოციალისტებზე სწერს: „უნდა გავიგოთ მათი შეურაცხყოფის გრძნობა, მაგრამ მათ არ უნდა ეხელმძღვანელათ ამ გრძნობით პოლიტიკაში, რადგან ეს ან კატასტროფას და ან დაცინვას გამოიწვევდა.

**ავსტრიის ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი.**

რენერმა, რომელმაც ოტტო ბაუერი შესცვალა და თავის თავზე ავსტრიის საგარეო საქმეთა მართველობა იკისრა, გერმანელ საგარეო საქმეთა მინისტრს გერმან მიულერს მისალმების დეპეშა გაუგზავნა“.

**გენერალ ლიუდენდორფი.**

გენერალ ლიუდენდორფმა, რომელიც პარლამენტში მინისტრ პრეზიდენტ ბაუერს და მიულერს უპასუხებდა, განაცხადა„ რომ პირველად გადაწყვეტილება წყალქვეშა ომის შესახებ მიღებულ იქმნა არა 1913 წლის იანვარს, არამედ 1917 წლ. იანვარში, სახელმწიფო კანცლერის თანადასწრებით და მხარის დაჭერით. მეორე, ახსნაში რომელიც წარადგინა საგარეო საქმეთა მინისტრმა დროებითი ზავის შესახებ არაფერი ახალი არ არის და შეიცავს მხოლოდ ლიუდენდორფის და პრემიერ შეიდემანის შორის მიწერ-მოწერას 1910 წელს მარტში. მესამე, გარეშე საქმეთა მინისტრი აკრიტიკებს სარდლის მოქმედებას და ლუდენდორფს გამანადგურებელს ეძახის. არ ვიცი რომელი წყაროებიდან აქვს მას ამოღებული ცნობები! გენ. ლიუდენბურგის წიგნი, რომელიც აგვისტოს შუა რიცხვებში გამოვა, მიგვცემს ცნობებს იმ მეთოდებისას, რომელიც მთავარ სარდლობას აქვს შეთვისებული.

მეოთხე, 1917 წ. ეკენისთვის 11 სამეფო საბჭოში ფელდმარშალ გენ. ლიუდენდორფმა, სამხედროს ვალდებულობის გამო გამოსთქვა თავისი აზრი დასავლეთ საზღვარზე ეკონომიურ ინტერესების დაცვის აუცილებლობის შესახებ, მისი უდიდებულესობის გადაწყვეტილება გამოქვეყნებული იყო კანცლერ მიხაელისის მიერ 27 ივლისს.

## ბოლშევიკური ცნობები

**სამხედრო ცნობა.** დასავლეთის ფრონტი. კორელის ყელზე ჩვენი ჯარი ფინეთის საზღვარზე გადავიდა და მტრის წინააღმდეგ იბრძვის. ფინეთის ყურეში კრონშტადტის რაიონში მტრის ჰაეროპლანმა ყუმბარები ჩამოყარა. პსკოვის რაიონში ბრძოლაა. ოსტროვსკის რაიონში ჩვენი ჯარი რკინის გზასთან შეტევაზე გადავიდა. მინსკის რაიონში ბრძოლა გრძელდება. სლუცკის მიმართულებით ჩვენ ვიზნა დავსტოვეთ.

**მოკავშირეთა უნგრეთში შესვლის გარშემო.**

**ლიონი.** ივლ. 31. (ამერიკის რადიო.) რუმინელები დაჟინებით მოითხოვენ ჰუნგრეთის წინააღმდეგ შეთანხმებას და მის საზღვრებში შეჭრას რაც საზავო კონფერენციას არ სურს: ამერიკის წრეებში ჰუნგრეთის ხალხისადმი მიმართულ ნოტის სერიოზულებაში ეჭვი შეაქვთ. საფრანგეთის პრესა განაგრძობს საზავო კონფერენციის კრიტიკას და ჰუნგრეთში ჯარის გაგზავნას მოითხოვს: ყველა გაზეთები შიშობენ, რომ შესაძლებელია რუსეთის და უნგრეთის ჯარები გაერთიანდენ, რაც მოკავშირე ქვეყნებისთვის საფრთხეს წარმოადგენს.

**გერმანიის ნახშირი**

**ნაუენი.** ივლ. 30. გერმანიის ნახშირის განაწილების შესახებ იუწყებიან, რომ პირველ რიგში დაკმაყოფილებული იქნება რკინის გზა, შემდეგ გემები, რომლებიც სურსათის საზიდავათ არის დანიშნული, და ის ქარხნები, რომლებიც საკვებ საგნებს ამზადებენ. უკანასკნელ რიგში სამრეწველოების საჭიროებას დააკმაყოფილებენ. ეხლანდელ მდგომარეობაში გერმანიაში სამრეწველოებისთვის საჭირო იქნება 54 მილიონი ტონა ნახშირი, იმავ დროს მის წილად მხოლოდ 10 მილიონი შეიძლება იქნეს გადადებული. თუ მრეწველობა დაკმაყოფილებული არ იქნა მის ნამდვილ მოთხოვნილებებით, მაშინ შემოდგომაზე მილიონ უმუშევრებს და მოსამსახურეებს უნდა მოველოდეთ.

**საბერძნეთ-ოსმალეთის კონფლიქტის გამო.**

**კიევი,** ივლ. 20. საბერძნეთის ჯარს, რომელიც სმირნას დასაჭერად გაიგზავნა, ოსმალეთის ჯარი შეხვდა: ვენიზელოსმა ინგლისსა და საფრანგეთის მიმართა სამხედრო დახმარებისათვის, მაგრამ უარი მიიღო, რადგან მოკავშირეებმა ნება დართეს ბერძნებს დაეჭირათ სმირნა, მას შემდეგ რაც არა ერთხელ არწმუნებდა მოკავშირეებს, რომ ბერძნების ჯარს ოსმალთა ჯარი ოღფრთოვანებით შეხვდებაო.

**ფრაკიის საკითხი.**

**ლიონი,** 31 ივლის. ბულგარეთის მდგომარეობა ფრაკიასთან ერთად ჯერ კიდევ გამოურკვეველია, რადგან ამ საკითხის გამო უთანხმოებაა.

**სამხრეთის ფრონტი.** ხარკოვის მიმართულებით ჩვენ სად. კირიკოვკა ავიღეთ. კამიშინის ჩრდილოეთით ბრძოლა გრძელდება.

**აღმოსავლეთის ფრონტი.** ცარიცინის რაიონში ვოლგას მარცხენა მხარეზე ჩვენ ახტუბა და ვლადიმიროვკა ავიღეთ. ჩელიაბინსკის ჩრდილოეთით ჩვენ 20 ვერსით წინ წავიწიეთ. კამიშილოვის ჩრდილოეთით ჩვენ სოფლები ავიღეთ. ჩვენ ტურინსკი დავიჭირეთ.

**ხორვატიის ჯარის აჯანყება.**

**ნაუენი.** ივლ. 31. სერბიის ბეჭდვითი ბიუროს ცნობით ხორვატიის ჯარის აჯანყება მართალი გამოდგა. ბელგრადიდან იუწყებიან, ლომბალანკაზე საფრანგეთის ჯარის გავლის დროს ბულგარეთის ჯარმა მათ სროლა აუტეხა: მძიმეთ დაიჭრა 9 ფრანგი და 20 ჯარისკაცი.

**ვენის დადგენილება საზავო ხელშეკრულების გამო.**

**ნაუენი.** ივლ. 31. ვენის ქალაქის საბჭოს საგანგებო სხდომაზე ქალაქის უფროსმა განაცხადა, რომ საზავო ხელშეკრულების ტერიტორიული ეკონომიური და ფინანსიური პირობები ისეთია, რომ მანი შესრულება ავსტრიის რესპუბლიკას დაჰღუპავს: საზავო პირობებით მცხოვრებით სრული გაღატაკება მოელის. ქალაქის საბჭომ დაადგინა უკანასკნელ წუთებში მიმართოს ავსტრიის საზავო დელეგაციას თხოვნით, რომ მოკავშირეებისაგან წარმოდგენილ საზავო პირობების გამო ენერგიული პროტესტი განაცხადოს.

**უკრაინის საბჭოთა ნოტა მოკავშირებისადმი**

**მოსკოვი** ივლისის 31. უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ საფრანგეთის, დიდი ბრიტანიის და იტალიის მთავრობებს შემდეგი ნოტა გაუგზავნა: „წითელი ჯარის მიერ შავი ზღვის სანაპიროს განთავისუფლებიდან მოკავშირეთა სარდლობა უკრაინის და ყირიმის საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ მტრულ მოქმედებას აწარმოებს. ოდესიდან და ყირიმიდან გასვლისას მოკავშირეთა სარდლობამ, მიუხედავათ მცხოვრებთა და მგზავრების პროტესტისა, თან წაიღო მთელი სავაჭრო და სამხედრო ფლოტი და უვარგისი გემებიც კი. ამას ისე ხსნიან რომ მათ უნდოდათ უკრაინის მთავრობისაგან მოკავშირეთა ფლოტის თავისუფალ ნავოსნობის გარანტია მიიღონ. მიუხედავათ ასეთი განცხადების შეუფერებლობისა უკრაინაც საბჭოთა მთავრობამ მაინც განაცხადა, რომ იგი მზადაა მისცეს ამის გარანტია, ხოლო სამაგიეროდ მოითხოვდა ასეთისავე გარანტიებს უკრაინისა და რუსეთის სავაჭრო ფლოტისთვის. მაგრამ მოკავშირეთა ნამდვილი განზრახვები მალე სავსებით გამოაშკარავდა.

**მოსკოვი.** მოკავშირეთა სარდლობამ რამც თუ სცდილობდა უზრუნველყო ყუბანის და დონის თეთრ-გვარდიელთათვის იარაღის დაუბრკოლებრივ მიწოდება, არამედ აქტიურადაც ეხმარებოდა შავი ზღვის სანაპიროზე თეთრ-გვარდიელთა მთავრობას მოკავშირეთა მოქმედების წყალობით თეთრ-გვარდიელებმა შესძლეს კერჩის და თეოდოსიას აღება. ამასვე სჩადის ეხლა მოკავშირეთა სარდლობა ოდესასთან. მოკავშირეთა სარდლობის მოქმედება უკრაინის, (გამოტოვებულია), რომელიც ომის გამოუცხადებლად მტრულ მოქმედებას აწარმოებს უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ და ჟანდარმის როლს ასრულებს ერთი პოლიტიკურ რწმენის მოქალაქეთადმი, მონაწილეობს სამოქალაქო ომში, ეხმარება თეთრ გვარდიელებს და ყაჩაღურათ ეპყრობა სანაპიროების და უკრაინის მოქალაქეებს უკრაინის საბჭოთა მთავრობა მოკავშირეთა მთავრობებს ენერგიულ პროტესტს უცხადებს მოკავშირეთა ძალადობის და უკრაინის მუშათა და გლეხთა თავისუფლების ჩასაქრობად უკრაინის ხალხის შინაურსაქმეებში ჩარევის გამო, უკრაინის საბჭოთა მთავრობაფრთხილებს, რომ მათ ხელში იმყოფებიან მოკავშირეთა მოქალაქენი მძევლად. ამავე დროს უკრაინის საბჭოთა მთავრობა მოკავშირეთა ქვ-ბის პროლეტარიატს მიმართავს, აუწყებს, რომ მოკავშირეთა მთავრობები კონტრ-რევოლიუციონურად მოქმედებენ უკრაინის პროლეტარიატის მიმართ და იმედს გამოსთქვამს, რომ მოკავშირეთა ქვეყნების პროლეტარიატი ძმურ დახმარებას აღმოუჩენს უკრაინის მშრომელ ხალხს.

**კოლჩაკის აღიარების საკითხი.**

**კიევი.** ივლისის 30. იტალიის პრესის ცნობით, კოლჩაკის აღიარების საკითხი საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი. პრესაში გამოქვეყნებული ცნობები კოლჩაკის აღიარების შესახებ ნაადრევია. ოთხთა საბჭომ გადასწყვიტა მას მხოლოდ სამხედრო დახმარება გაუწიოს.

**შეერთებული შტატები და ბლოკადა.**

**ლიონი.** ივლისის 31. მიღებული ცნობებით, შეერთებული შტატები არასდროს არ მოიწონებენ მოკავშირეების გეგმას. რომელიც ინგლისის გემებს უფლებას მისცემს ზღვაში გააჩეროს ამერიკის სავაჭრო გემები, რომლებიც იმ ქვეყნებში მიემგზავრებიან, რომელთაგანაც ომის მდგომარეობით ოფიციალურად არ იმყოფებიან. ქვეყნის ბლოკადა აუცილებლად გულისხმობს უკანასკნელი ომის მდგომარეობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ბლოკადა უნდა გაუქმებული იქნეს.

**მოსკოვი.** ამერიკის დელეგაცია იმ რწმენას გამოსთქვამს, რომ ფრაკიის ბოლგარეთისთვის ჩამორთმევა და საბერძნეთისთვის გადაცემა ბალკანეთზე ახალ ომს გამოიწვევს. ინგლისი და საფრანგეთი კი ფრაკიის საბერძნეთისთვის გადაცემას მოითხოვს. იტალიის დელეგაცია ძველებურად გულოდ უყურებს საფრანგეთს და დიდის ყურადღებით თვალს ადევნებს ახლოაღმოსავლეთის პრობლემის განვითარებას. იტალია ამჟამ ხანს თავის ძალას სხვა მიზნებისკენ მართავდა, რომ ფიუმე თავისთვის უზრუნველეყო და საბერძნეთის კონფლიქტში არ ჩარეულიყო.

**ბუმანი ჰუნგრეთის შესახებ.**

**ლიონი.** ივლისის 31. საზავო კონფერენციის ტრანსილვანიის დელეგატმა ბუმანმა ჰუნგრეთის წითელი ჯარის შეტევის შესახებ შემდეგი აზრი გამოსთქვა: „ევროპის მომავალი და ბოლშევიზმისაგან მისი გადარჩენა ამ ჟამად სრულიად დამოკიდებულია რუმინიის არმიის გმირობაზე რომელიც იძულებულია ორ ფრონტზე იბრძოლოს თუ რუმინიის ჯარი საზავო კონფერენციის ჩარევამდე ვერ გაუმკლავდა რუსეთ-უნგრეთის წითელი ჯარი გაერთიანდება და საერთო შეტევას დაიწყებენ, იმ იმედით, რომ მათ დაეხმარება ბულგარეთი, ავსტრია, სამხრეთი გერმანია და შეიძლება სლოვაკიაც. ეს არის ევროპის ზავის და წესრიგის მუდმივი საფრთხე. საფ. სამხედრო მწერლები აღიარებენ, რომ ბელაკუნის შეტევა ძალიან კარგათ არის დაწყებული. უნგრეთის ბოლშევიკები ცდილობენ რუსეთის წითელ ჯარს შეუერთდენ და იმავე დროს მარცხენა ფრთით ჩეხოსლოვაკიის და რუმინიის ჯარის შეერთებას ხელი შეუშალონ. სოციალისტურ გაზეთების გარდა, რომელიც რუსეთის და უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკების საქმეში ჩარევის წინააღმდეგ იბრძვის, მთელი ფრანგული პრესა იმის მომხრეა, რომ დაუყონებლივ გაილაშქრონ უნგრეთის წითელი ჯარის წინააღმდეგ.

**საფრანგეთის ფლოტის დემობილიზაცია.**

**ლიონი,** ივლისის 30. საფრანგეთის ფლოტის დემობილიზაციის გამო, გალაცში, კონსტანცში და კორფუზე გააუქმეს საფრანგეთის საზღვაო ბაზები გააუქმეს აგრეთვე მესიხაში საფრანგეთის საზღვაო არმია.

**ნახშირის კრიზისი ევროპაში**

**ლიონი.** ივლისის 30 ევროპას მოელის ნახშირის კრიზისი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ომის დროს.

ნახშირის მრეწველობის დეზორგანიზაციის გამო ნახშირის დამუშავება შესამჩნევად დაეცა. საფრანგეთი, იტალია და სხვა ქვეყნები ძალიან შიშობენ, ინგლისს თავისუფალი ექსპორტისათვის მხოლოდ 23 მილიონი ტონა ნახშირი აქვს, შარშან კი 77 მილიონი ტონა ქონდა. ავსტრიის დელეგატებმა განაცხადეს, რომ ავსტრია სრულიად უნახშიროდ დარჩა. იტალიაში ნახშირი სრულიად არ არის. გამოსავალი ჯერ კიდევ არ არის ნაპოვნი. ევროპის სახელმწიფოებს სურდათ, რომ შეერთებულმა შტატებმა ისევე, როგორც ომის დროს, გამოიანგარიშნა, თუ რამდენი ნახშირი შეიძლება გამოიტანონ მაგრამ თანხმა იქნება თუ არა ასეთი ზომების მიღებაზე ამერიკა, ეს კიდევ დიდი საკითხია.

**რუსეთის ნოტა საფრანგეთისადმი.**

(გაგრძელება). უნდა იმედი გვქონდეს, რომ საფრანგეთის მთავრობამ გაიგო, რომ მოიხმარა რა რუსეთის სამხედრო ძირები თავისი იმპერიალისტური მიზნებისათვის და აიძულა რა ებრძოლათ გერმანიის წინააღმდეგ შეიგნო, რომ შეუძლებელია მათი ყი-

დვა გაყიდვის საგნათ გახდა. მაგრამ მოიყვანა რა რუსები ოდესაში, საფრანგეთის სარდლობამ განაცხადა, რომ მათი გადმოსხმისთვის საჭიროა მიცემა საფრანგეთის სამხედრო ტყვეებისა, რომლებიც წითელ უკრაინაში ბრძოლის დროს წამოიყვნენ და აგრეთვე ყველა უცხოელების და ნეიტრალურ ქვეყნების მოქალაქეთა და

შემდეგ ციმბირში სტუდენტებს და ინტელიგენციას სდევნიან მარტო ზაპაროჟსკში 1000 კაცი. დახვრიტეს კრასნოიარსკში, მრავალი დაჭირეს და დაპატიმრეს რამდენიმე ათასი კაცი, რომელნიც ციხეებში დიდი ჭირხვეთ იღუპებიან. მათი ცოლშვილი კი შიმშილისა და სიცივისაგან იხოცება. ქარხნები დაკეტილია და

## გაზეთები და მოხელისეთა ლაშქარი

23 მკათათვის გაზეთ „უტრო იუგა“-ში დაბეჭდილია: „სარწმუნო წყაროებიდან გვატყობინებენ, რომ საგანგებო ბეზობაზე დასახელია ძირითადი საფუძვლები სახელმწიფოებრივ

საქართველოს სხეულის დაფლეთისა და მის სხვა და სხვა კუთხეებში საომო ფრონტების მოწყობისა. ამას კიდევ არ დასჯერდნენ და შეეცადნენ შიგნიდან არეულობა-აჯანყების ცეცხლი დაენთოთ; ამ მზაკვრულ საშუალებით მათ სწადდათ ჩვენი თავისუფლება—დამოუკიდებლობა დამადება-გაჩენის თანავე ჩაეხრჩოთ, მოესპოთ, მაგრამ

ჭოჭრაშვილი, ლოდუშაური და სხვანიც, რომელნიც მასთან ერთად ეწვიან მეტად ძნელ და მძიმე შრომის ჟამს.

თბ. მაზრის ერობის რწმუნებული

ქ. რატიშვილი.

## ფოთის მილიციის უფროსის წერილის გამო

მოხდა, გამანთავისუფლა. სისო ჯერანაშვილმა გამომძიებელ ტატიშვილის თანადასწრებით ჩემთან ბოდიში მოიხადა და მთხოვა პატიება.

ამის შესახებ კვლევა ძიება წარმოებს დამნაშავეთა პასუხის გებაში მისაცემათ. გვარდიელ ხანუაშვილის მკვლელი კოლა ხარაზიშვილი გამომძიებელმა გაანთავისუფლა. კაკაბეთში გვარდიელები სდევნიან ჩემ ცოლშვილს ია პავლიაშვილის წყალობით, მიუხედავათ იმისა, რომ მკვლელობა მოხდა ჩემ იქ დაუსწრებლათ, მილიციონერის ხელით, იმ დროს როცა ის ასრულებდა სამსახურის მოვალეობას.

ქიზიყის რაიონის

კომისარი ექვთიმიშვილი.

## მიმოსვლა
## სახალხო მატარებლებისა
## ს. ს. რკ. გზ

**გადის თბილისიდან.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფოთში | № 21 | ღამ. | 12 ს. | 5 წ. |
| ქუთაისში | № 10 9 | საღ. | 8 ს. | 7 წ. |
| ბათომში | № 5 | საღ. | 5 ს. | 4 წ. |
| ფოთში | № 3 | დილ. | 9 ს. | 56 წ. |
| ბათომში | № 1 | ღამ. | 11 ს. | 30 წ. |

**მოდის თბილისში**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათომიდან | № 2 | დილ. | 7 ს. | — |
| ფოთიდან | № 4 | საღ | 8 ს. | 45 წ. |
| ბათუმიდან | № 6 | შუად. | 12 ს. | 10 წ. |
| ქუთაისიდან | № 11,12 | დილ. | 9 ს. | 30 წ. |
| ფოთიდან | № 22 | დილ. | 6 ს. | 06 წ. |

**თბილისი-სალოღლი**

**გადის სალოღლში**

№ 8 საღამოს 6 ს. 5 წ.
№ 6 შუადღის 2 ს. 32 წ.
№ 4 საღამოს 9 ს. 50 წ.

**მოდის სალოღლიდან.**

№ 3 დილის 7 ს. 27 წ.
№ 5 ნაშუად. 3 ს. 5 წ.
№ 7 დილის 11 ს. 52 წ.

**თბილისი-ქსანი გორი-ბორჯომი.**

**გადის**

№ 63 შუადღის 2 ს. 40 წ.
№ 61 დილის 7 ს. 52 წ.
№ 19,20 შუად. 3 ს. 26 წ.

**მოდის:**

№ 19,20 დილ. 6 ს. 30 წ.
№ 62 დილ. 11 ს. 24 წ.
№ 64 საღ. 8 ს. 4 წ.

**თბილისი-სანაინი**

**გადის:**

№ 4,3 ს. შუად, 1 ს. 40 წ.

**მოდის:**

№ 4,3 ს. დილ. 11 ს. [illegible]

შენიშვნა 1. მ. მ. №№ [illegible] დანიშნულება არის სამგზავრო ლისწრაფის გადასაზიდები და მალე წასახდენი საქონელის.

შენიშვნა 2. მ. მ. №№ 61, 62, 63, 64 იმოძრავებენ თბილისისა, ქსნისა და გორის შუა: 1 წყვილი ივლის უქმე და კვირა დღეებში, 2 წყვილი უქმე და უქმის წინადღეებში.

## სახქარომ იუიდება